ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2018/88

ქ. თბილისი

09 მარტი 2018 წელი

ერთის მხრივ **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“** ეკონომიკური სამსახურის უფროსის კობა ხუბუნაიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ **შპს „დანი 2012“** მისი დირექტორის ბერუჩა ლუხუტაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ **2018 წლის 09 მარტს თბილისის ვიცე მერთან საქმიანი შეხვედრის ფარგლებში მოწვეული სტუმრებისათვის სარესტორნო მომსახურების** (შემდგომში „მომსახურება“) სახელმწიფო შესყიდვა.

1.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 55300000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს **409.70 (ოთხასცხრა ლარი და 70 თეთრი) ლარს.**

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს და გადასახდელებს, დღგ-ის ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

3.1 მიმწოდებელი მომსახურების გაწევას განახორციელებს 2018 წლის 09 მარტს.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილია - ქ.თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო ცაბაძის N2, რესტორანი „ქართული სახლი“.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

4.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ: სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს სერვისებისა და ბრენდის განვითარების სამსახურის თანამშრომელები (შემდგომში „ინსპექტირების ჯგუფი“).

4.3 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

4.3.1 გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების დაცვას;

4.3.2 დაადგინოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

4.3.3 გააფორმოს მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტი, უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

5. მომსახურების საგარანტიო პირობები და ვადები

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

5.2. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს უარი განაცხადოს წუნდებული მომსახურების მიღებაზე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისად.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტი დგება მომსახურების მიწოდების დასრულების შემდეგ, ორივე მხარის მიერ დადასტურდებული ხელმოწერით.

6.3. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტი, საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“).

6.4. მომსახურების მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სსიპ ,,აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს სერვისებისა და ბრენდის განვითარების სამსახურის უფროსი ან სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

7. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული 2018 წლის საკუთარი შემოსავლებით.

7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 6.2. და 6.3. პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების საფუძველზე, წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.4. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

7.5. 7.3 პუნქტის შესრულებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 6.5. პუნქტში მითითებული პირი.

7.6. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 12.3 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

7.7. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და გადასახდელის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.2.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებლისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად;

8.3 შემსყიდველი ვალდებულია:

8.3.1 მიიღოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად განხორციელებული მომსახურება;

8.3.2 მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად;

8.3.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

8.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.4.1 მოითხოვოს შემსყიდველისგან გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.4.2 ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად.

8.5 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.5.1 მიაწოდოს შემსყიდველს ხარისხიანი მომსახურება;

8.5.2 მომსახურების გაწევა განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;

8.5.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე. აგრეთვე, დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის;

8.5.4 მომსახურების დასრულების შემდეგ წარუდგინოს შემსყიდველს ფინანსური აუდიტის დასკვნა;

8.5.5 შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ;

8.5.6 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

10.1.1 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
10.1.2 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;
10.1.3 საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება (მთლიანად ან ნაწილობრივ), თუ:
10.2.1 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
10.2.2 მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
10.2.3 მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას;
10.2.4 ხელშეკრულების 11.3. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 10%.
10.2.5 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
10.2.6 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
11.2 შემსყიდველი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.02% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
11.3 მიმწოდებელი პასუხისმგებელია ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის, ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში იგი ვალდებულია, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
11.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ფორს-მაჟორს მიეკუთვნება ბუნებრივი ხდომილებანი ან პოლიტიკური, სამხედრო, სამართლებრივი, შრომითი, სოციალური, საგანგებო და შეუქცევადი გარემოებები (დაუძლეველი ძალა), როგორიცაა ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და ა.შ.
12.3 მხარე, რომელიც ხელშეკრულების 12.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორს-მაჟორული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.
12.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
12.5 ხელშეკრულების 12.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

13. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი;

14.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ხელშეკრულების 1 (ერთი) ეგზემპლიარი ინახება „მიმწოდებელთან“, 2 (ორი) ეგზემპლარი „შემსყიდველთან“.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
მმართველობის სფეროში მოქმედი
სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კმ;
ბანკის კოდი: TRESGE22;
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა;
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში;
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707453459;
საიდენტიფიკაციო კოდი: 205263873.

კობა ხუბუნაია
ეკონომიკური სამსახურის უფროსი

„მიმწოდებელი“

შპს „დანი 2012“
იურიდ. მის: ქ. თბილისი, ცაბაძის №2;
ტელ: 591 93-00-11, 591 93-00-12;
სს „ბაზის ბანკი“;
ბანკის კოდი: CBASGE22;
ა/ა: GE92BS 0000 0000 6073 6318;
საიდენტიფიკაციო კოდი: 404419704.

ზერუჩა ლუხუტაშვილი
დირექტორი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

09 მარტი 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“- ს მიერ **2018 წლის 09 მარტს** **თბილისის** ვიცე მერთან **საქმიანი შეხვედრის ფარგლებში მოწვეული სტუმრებისათვის სარესტორნო მომსახურების** გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, **2018 წლის 09 მარტის №2018/88** ხელშეკრულების გაფორმების პროცედურებში **შპს „დანი 2012“-თან** ჩვენი მონაწილეობით, ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ეკონომიკური სამსახურის უფროსი _____ /კობა ხუბუნაია/

შესყიდვების განყოფილების უფროსი _____ /თამარ ყუფარაძე/

ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი _____ /გერონტი ცინდელიანი/

ლოჯისტიკის განყოფილების მენეჯერი _____ /ზადურ ღვინიაშვილი/